

უყვართ თქვენს მოსწავლეებს კითხვა?

მასწავლებლის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, რომლებიც დადებითად განაწყობს მოსწავლეებს კითხვის მიმართ

2001-2016 წლებში ჩატარებულმა PIRLS-ის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ წლების განმავლობაში კითხვის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება გაუარესდა PIRLS-ში მონაწილე ყველა ქვეყანაში.¹ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მეოთხეკლასელებმა განაცხადეს, რომ მათ სულ უფრო ნაკლებად აინტერესებთ კითხვა. ქვემოთ მოყვანილია 4 მეთოდი, რომლებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მოსწავლეების პოზიტიურ დამოკიდებულებას კითხვის მიმართ; ასევე ნაჩვენებია 2016 წლის PIRLS-ის (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა) შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა რამდენ პროცენტს აქვს ასეთი მიდგომით რეგულარულად სწავლების გამოცდილება.

1. მოსწავლეებისათვის საკითხავი მასალის არჩევის საშუალების მიცემა

მასწავლებლები უვითარებენ მოსწავლეებს დამოუკიდებლობასა და პოზიტიურ დამოკიდებულებას კითხვის მიმართ. ისინი საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, თავად აირჩიონ ტექსტები იმ ჩამონათვალიდან, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესის სფეროსა და მათი კითხვის დონეს.²

PIRLS-ის 2016 წლის შედეგები:

საერთაშორისო მასშტაბით მოსწავლეთა **54%**,
ხოლო საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა **16%**

ჰყავს მასწავლებელი, რომელიც ამბობს, რომ აძლევს მოსწავლეებს დროს, მათ მიერ არჩეული წიგნების ნასაკითხად, გაკვეთილების სულ მცირე ნახევარზე მაინც.

2. კითხვის გადაქცევა სოციალურ აქტივობად

თანაზიარობისა და სოციალური მიკუთვნებულობის გრძნობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. კითხვის აქტივობებში მოსწავლეთა ერთობლივად ჩაბმის ნახაღისებით, როგორცაა ერთობლივი კითხვა და მსჯელობა, მასწავლებლები ხელს უწყობენ კითხვის, როგორც სოციალური აქტივობის განვითარებას.³

PIRLS-ის 2016 წლის შედეგები:

საერთაშორისო მასშტაბით მოსწავლეთა **86%**,
ხოლო საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა **29%**

ჰყავს მასწავლებელი, რომელიც ამბობს, რომ გაკვეთილების სულ მცირე ნახევარზე მაინც უთმობს დროს მოსწავლეების მიერ წაკითხული ტექსტების ირგვლივ მსჯელობას.

PIRLS არის მეოთხეკლასელი მოსწავლეების საერთაშორისო შეფასება, რომელშიც წიგნიერების შესახებ მონაცემები გროვდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ დაახლოებით 60 ქვეყანაში. გარდა ტესტირებისა, მოსწავლე ავსებს კითხვარს, სადაც ის ინფორმაციას გვანჯდის მისი კითხვის ჩვეულებისა და კითხვისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები ასევე ავსებენ კითხვარს, საიდანაც გროვდება მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული მონაცემები. PIRLS-ის კვლევა, რომელსაც კოორდინაციას უწევდა IEA (International Association for the Evaluation of Educational Achievement), ჩატარდა 2001, 2006, 2011 და 2016 წლებში.

3. სათანადო საკითხავი მასალის უზრუნველყოფა

მოსწავლეებს უნდა მოსწონდეთ ის, რასაც კითხულობენ, ტექსტის შინაარსი მათთვის ღირებული, მათ ცხოვრებასთან, კულტურასა და სწავლასთან დაკავშირებული უნდა იყოს. მოსწავლეებს უნდა ვკითხოთ, რისი წაკითხვა სურთ და რა აინტერესებთ. ასევე, ციფრული ან ბეჭდური ფორმით ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ მათთვის საინტერესო საკითხავი მასალები.⁴

PIRLS-ის 2016 წლის შედეგები:

საერთაშორისო მასშტაბით მოსწავლეთა **65%**,
ხოლო საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა **36%**

ჰყავს მასწავლებელი, რომელიც ამბობს, რომ მოსწავლეებს აწვდის ისეთ საკითხავ მასალას, რომელიც მათ აინტერესებთ, გაკვეთილების სულ მცირე ნახევარზე მაინც.

გამოყენებული კვლევები

1. <https://www.iea.nl/studies/iea/pirls>
2. Assor et al., (2002); Guthrie & Wigfield (2017); Katz & Assor (2006)
3. Chinn et al., (2001); Guthrie & Wigfield (2017); Taboada et al., (2020)
4. Guthrie & Wigfield (2017); Taboada et al., (2020); Vansteenkiste et al., (2006)
5. Schunk & Zimmerman (2007); Taboada et al., (2020); Wigfield et al., (2004)
6. Hooper (2020)



დაგაბათი იწვორგაცია

შექმნილია AIR-ისა (კვლევის ამერიკული ინსტიტუტი) და IEA-ს თანამშრომლობის შედეგად. ეფუძნება: *Troubling Trends: An International Decline in Attitudes Toward Reading.*⁶ Martin Hooper (AIR).

შინაარსი: **Martin Hooper** (AIR)
Mengyi Li (AIR)
Paula Korsnakova (IEA)

დიზაინი: **Jasmin Schiffer** (IEA)

თარგმნა და ხელშეწყობა: **სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**

ეს არის IEA-ს მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ვერსიის ადაპტაცია, რომელიც მოამზადა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა. იგი არ არის შემოწმებული IEA-ის მიერ, შესაბამისად, IEA და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი არ არიან პასუხისმგებელი ორიგინალ და ადაპტირებულ ვერსიას შორის არსებულ შესაძლო უზუსტობებზე, განსხვავებებსა და გამოტოვებებზე.

4. კითხვასთან დაკავშირებული თავდაჯერებულობის სტიმულირება

კითხვაში წარმატების მიღწევა იწვევს მოსწავლის თავდაჯერებულობის ზრდას, რაც კითხვის მიმართ დადებითი განწყობისა და მოტივაციის მთავარი კომპონენტია. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი მოსწავლეებს მათი კითხვის უნარების შესაბამის ტექსტს ურჩევს და მკაფიო, წამახალისებელ უკუკავშირს აძლევს.⁵

PIRLS-ის 2016 წლის შედეგები:

საერთაშორისო მასშტაბით მოსწავლეთა **60%**,
ხოლო საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა **21%**

ჰყავს მასწავლებელი, რომელიც ამბობს, რომ მოსწავლეებს აძლევს ინდივიდუალურ უკუკავშირს სულ მცირე გაკვეთილების ნახევარზე მაინც.